აბრეშუმის გრძელი გზა

თამარა კალხიტაშვილი, 2023

აბრეშუმის გრძელი გზა

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი[1] ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი მუზეუმია და მისი დაარსება უკავშირდება რუსეთის იმპერიის კოლონიალისტურ პოლიტიკას კავკასიაში. თუკი საქართველოს ეროვნული მუზეუმი კავკასიის მუზეუმის მემკვიდრეა, აბრეშუმის მუზეუმი დაარსდა, როგორც კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ნაწილი. იმპერიის ამოცანას წარმოადგენდა ახლადშემოერთებული ტერიტორიების რესურსების შესწავლა მათი შემდგომი ათვისების მიზნით. სწორედ ამ პროცესის არაპირდაპირი შედეგია თბილისში სამუზეუმო თუ კვლევითი ცენტრების დაარსება.

კავკასიის კოლონიზაციამ თანმდევი პროცესები გამოიწვია შინამრეწველობის, ყოფითი კულტურის, ცხოვრების ყველა დონეზე. როგორ დაუკავშირდა იმპერიალისტური ინტერესი მეაბრეშუმეობის ადგილობრივი პოტენციალს? როგორი იყო მეაბრეშუმეობის როლი ქალების ცხოვრებაში? როგორ წერდნენ და წერენ ქართველი მკვლევრები დარგის ისტორიას? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ თუ შევძლებთ, ერთი მხრივ, მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობის, მეორე მხრივ კი კოლონიალისტური და ინდუსტრიალიზაციის პროცესებს შესახებ ახალ დისკუსიას.

რუსეთის იმპერიალისტური ინტერესების დასანახად, აბრეშუმის ექსპორტის მაგალითზე, მნიშვნელოვანია დავინახოთ აბრეშუმის გზის ორიათასწლოვანი ისტორიის გვიანი, მეჩვიდმეტე-მეცხრამეტე საუკუნეების კონტექსტი.

მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში საფრანგეთი ცდილობდა სპარსული აბრეშუმი უმოკლესი გზით, შავი ზღვის გავლით, მარსელში მოხვედრილიყო. მისიონერი პიეტრო დელა-ვალე[2] დეტალურად მოახსენებდა შაჰს, როგორი სწრაფი და მოსახერხებელი შეიძლებოდა ყოფილიყო შავი ზღვით აბრეშუმის ექსპორტი იმ დროისათვის არსებულ სხვა ალტერნატივასთან შედარებით. პიეტრო დელა-ვალე სპარსეთის შაჰს აბრეშუმის გატანას ევროპაში საქართველოს გავლით, შავი ზღვიდან დნეპრითა და ლიტვა-პოლონეთის გავლით ურჩევდა[3], ამგვარად საქონლის სატრანზიტო გზა რუსეთს ასცდებოდა, რომელიც 1620-იანი წლებისათვის „აბრეშუმს ინგლისელებისა და ფლამადელებისაგან“ ძვირად ყიდულობდა.

---

[1]დაარსდა 1887 წელს, როგორც სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრის, კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ნაწილი.

[2]დელა-ვალე ცნობილია ქართველი მკითხველისათვის შაჰ-აბასის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომისა და პაპ ურბან VIII-სათვის საქართველოსა და ქართველების შესახებ მიწერილი წერილის გამო. *Valle Pietro.* Informazione della Giorgia data alla Papa Urbano VIII l'anno 1627

[3] იასე ცინცაძე. უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 1954, 41–42,

კიდევ ერთი მისიონერი, პეისონელი[4], რომელიც ერეკლე II-ს თბილისში 1750-იანი წლებისათვის შეხვდა[5], მეფეს მოახსენებდა, რომ თბილისს მისი მდებარეობა სპარსეთის „ყველა ქალაქების კლიტეების გასაღებად ხდიდა“ ევროპაში აბრეშუმის გასატანად. მისიონერთა საქმიანობა საქართველოში სხვა მხრივაც დაკავშირებულია მეაბრეშუმეობასთან, ქუთაისში კათოლიკეთა ვაჭრებს ცალკე უბანი ჰქონდათ, სადაც ოსმალეთიდან და სპარსეთიდან შემოტანილ საქონელს, მათ შორის აბრეშუმს ჰყიდდნენ[6]. ამას გარდა, გვაქვს უდაოდ საინტერესო მაგალითი ადგილობრივი, კერძოდ გურული, წარმოების აბრეშუმის ჭიის პარკის მარსელში ექსპორტისაქართველი კათოლიკე ვაჭრის, სტეფანე პავლეს ძე თუმანიშვილის მიერ[7]. აბრეშუმის ადგილობრივი წარმოების შესახებს ცნობას შარდენის ჩანაწერებშიც ვხვდებით[8].

იასე ცინცაძის მიერ ნაკვლევია[9] სპარსული აბრეშუმის ექსპორტი რუსეთის იმპერიაში მეთექვსმეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან და ნაჩვენებია ამ ინტერესის განმსაზღვრელი მნიშვნელობა კავკასიის კოლონიალური დაპყრობისათვის.

რუსეთ-სპარსეთის საექსპორტო სტატისტიკა[10] გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე, 1760-75 წლებში, აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო აბრეშუმის საექსპორტო გზების კონტროლი იმპერიისათვის. თავის მხრივ, ირანის შიდა პოლიტიკური ვითარებისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორს სწორედ აბრეშუმით მდიდარი პროვინციების ფლობა წარმოადგენდა[11]. 1763 წელს ირანის იმდროინდელმა მმართველმა ქერიმ-ხანმა ბრიტანეთის ოსტინდოეთის კომპანიას საშუალება მისცა სპარსეთის ყურესთან ვაჭრობისათვის ბუშირის პორტით ესარგებლა[12]. ზენდების დინასტია, რომელსაც ქერიმ-ხანი წარმოადგენდა, სასტიკი ბრძოლების

---

[4] ფრ. Charles de Peyssonnel

[5] ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში

[6] ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, 1905, გვ. 37

[7] დას. ნაშრომი, გვ. 90

[8] “საქართველოში ბევრი აბრეშუმი მოდის... აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთში, არზრუმში და სხვა გარე ქვეყნებში, სადაც კარგ ფასად ყიდიან” შარდენი ჟ., ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი.1975.

[9] იასე ცინცაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო, 1969. გვ. 1-64.

[10] დას. ნაშრომი გვ. 42

[11] აბრეშუმის ექსპორტით მიღებული სახსრები პოლიტიკური გავლენის გასაძლიერებლად გამოიყენებოდა, სწორედ ეს იქცა აღა-მაჰმად-ხანსა და მურთაზ-ყული ხანს შორის ბრძოლის საბაბად.

[12] იხ. Jones Brydges, East India Company, XVI, p. 781; Perry, 1979, pp. 259 ff.
ასევე: East India Company, *Persia and the Persian Records* XV-XVII: *Factory Records*, India Office (letters from the company’s agents at Basra and Bušehr, 1763-79).

შემდეგ ყაჯარებმა შეცვალეს. ამგვარ პოლიტიკურ ვითარებაში კომერციის ბედი გადაუწყვეტელი რჩებოდა, ამიტომაც, ქართლ-კახეთის სამეფოსათვის „დახმარების შეთავაზების“ ერთ-ერთი მოტივი ირან-ინდოეთის სავაჭრო გზაზე დასაყრდენისა და ბუფერული ზონის შექმნაც იყო[13]. აბრეშუმის ექსპორტით იმპერიის დაინტერესების შედეგია თბილისში 1887 წელს კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დაარსება.

თუმცა, ცენტრალიზებული კვლევითი ცენტრის შექმნამდე, გვაქვს აბრეშუმის წარმოებისა და ექსპორტის საინტერესო ადგილობრივი მაგალითები. კერძოდ, თბილისური გაზეთები 1830-1831 წლებში იუწყებიან თბილისელი ვაჭრების – თამამშევისა და შადინოვის მიერ ადგილობრივი წარმოების აბრეშუმის ჭიის დიდი რაოდენობით რუსეთის იმპერიაში ექსპორტის შეასახებ.[14] მოგვაინებით შადინოვს ვხვდებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემომწირველთა შორის, კერძოდ, „ივერიის“ ფურცლებზე 1888 წლის მაისში საზოგადოება შემოწირულობისთვის მადლობა უხდის შადინოვს[15].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განმსაზღვრელ, მაფორმირებელ როლზე ქვეყნისათვის აქ საუბარს ვერ გავაგრძელებთ. ის, რომ მეაბრეშუმეობის განვითარება, ადგილობრივი ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, საზოგადოების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა, კარგად ჩანს, იქიდან, რომ საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლები ხშირად მეაბრეშუმეობის შესწავლის ცენტრებიც ხდებოდა[16]. რაც უფრო მნიშვნელოვანია, საზოგადოება აფინანსებდა მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნასა და შექმნას. მრავალი ასეთი მაგალითიდან (ხარჯთაღრიცხვის შესახებ დოკუმენტები ხელმისაწვდომია ქშწკგ საზოგადოების მონაცემთა ბაზაში) ერთზე შევაჩეროთ ყურადღება.

1894 წელს ოზურგეთში, (საიდანაც ქართველმა კათოლიკეებმა საუკუნით ადრე მარსელისკენ პირველად წაიღეს ქართული აბრეშუმის ნედლი მასალა

[13]იასე ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, 1969

[14]1831 წლის 3 იანვარს საქართველოდან რუსეთში სავაჭროდ გაემგზავრა თბილისის მოქლაქე შადინოვი, რომელსაც 70 ფუთი აბრეშუმი ჰქონია წაღებული. საქართველოს პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა (თბილისი, 2017). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი. ფაქტი 35477; ხელმისაწვდომია: https://prosopography.iliauni.edu.ge/factoids/35477-1831-tslis-3-ianvars-saqartvelodan-rusetshi-savachrod. წვდომის თარიღი: 08/26/2023.

[15] საქართველოს პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა (თბილისი, 2017). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი. ფაქტი 48579; ხელმისაწვდომია: https://prosopography.iliauni.edu.ge/factoids/48579-1888-tslis-maisshi-qartvelta-shor. წვდომის თარიღი: 08/26/2023.

[16]1897 წლის 15 ოქტომბრის „ცნობის ფურცლიდან“ ვიგებთ, რომ ილიკო კიკნაძეს ხარაგაულის სამრევლო სკოლისთვის სააბრეშუმო სახლის აშენება და მოსწავლეებისთვის აბრეშუმის თესლის გამოწერა ჰქონდა განზრახული.

გასაყიდად), კოწია თავართქილაძის სტამბაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფინანსებით[17] გამოიცა ნინო შარაშიძის პატარა სახელმძღვანელო „ყაჭის მოვლა“.





ნინო შარაშიძე „ყაჭის მოვლა“, 1894

ნაშრომი ეძღვნება მეაბრეშუმე ქალებს, მათ შესახებ, ცნობები იმავე პერიოდის პრესაშია მიმობნეული. ზოგი მათგანი ქშწკგ საზოგადოებას სწირავს საკუთარ ნახელავს, ზოგი კი საკუთარი წარმოების აბრეშუმს გამოფენებზეწარადგენს.[18] ქალების ცხოვრებაში მეაბრეშუმეობის განსაკუთრებულ როლზე მეტყველებს გვიან, 1930-იან წლებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალაც[19].

[17] იხ. ფაქტები ქშწკგ საზოგადოების პროსოპოგრაფიულ ბაზაში: https://society.iliauni.edu.ge/persons/7215-konstantine-kotsia-chitanis-dze-tavartqiladze

[18]1897 წლის 5 ნოემბრის „ცნობის ფურცლიდან“ ვიგებთ, რომ საბაღოსნო გამოფენაზე მარიამ გოგოლაშვილმა აბრეშუმის ნაქსოვისთვის ქების ფურცელი მიიღო. საქართველოს პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა (თბილისი, 2017). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი. ფაქტი 52390; ხელმისაწვდომია: https://prosopography.iliauni.edu.ge/factoids/52390-1897-tslis-5-noembris-tsnobis-furtslidan-vigebt-ro. წვდომის თარიღი: 08/26/2023.

[19]მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის:

სოფიო დავითის ასული ფეიქრიშვილი, 120 წლისა, სოფელი თოხლიაური

სახელმძღვანელოს ძირითადი ნაწილი, ცხადია ჭიის მოვლასა და სააბრეშუმე მასალის მოვლას ეთმობა. ტექსტში არეკლილია აბრეშუმის ადგილობრივ წარმოებაში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები, ავტორი მკითხველს მეაბრეშუმეობის ახალ ტენდენციებს აცნობს და განმარტებისათვის ტრადიციულ ტერმინებს მიმართავს.

„შეიძლება ბევრმა ჩვენმა ძველმა მეაბრეშუმე ქალებმა შენიშნონ ამ პატარა წიგნაკის წაკითხვაზე;

„ძველად აქ ჰქსოვდნენ მერდინს; საფეიქრო მანავში იყო. ორი დედაკაცი ქსოვდა და, რაც ის ორი დედაკაცი მოკვდა, ჩემსობაში, მემრე აღარავის მოუქსოვია. აქ აბრეშუმი ბევრი მოჰყვანდათ, მაგრამ მე არ მომიყვანია. ეგ სხვების საქმე იყო. მე სადა და უბრალო წინდების ქსოვა ვიცოდი.

ჩერქეზიანთ ყმა ვიყავი. ჩემ ქალბატონს უნდოდა ჩემთვის წერა-კითხვა ესწავლებინა თავი ქალებთან ერთად. მასწავლა წიგნი და სახეების ქარგვა, ხელსაქმე. მერე, გამათხოვეს ჩემმა მშობლებმა, ჩემმა ქალბატონმა ჩემს საქმროს ჩემს გაწვრთნაში ხუთმეტი მანეთი გამაართო. თუმანი ისევ მე დამიბრუნა და ხუთი მანეთი აიღო. სახეების სახელები არ მახსოვს, ნიფხვის ტოტების შემოსავლებს ბაფთა ერქვა.

ევა მზარეულაშვილი 67 წლისა სოფელი დიღომი

„კერის პირზე ვქსოვდი წინდებს ჭრელსა; იმ ჭრელ წინდებზე ბალის კუნწულის სახეს გამოვიყვანდით აბრეშუმის ძაფითა...ზამთარში ექვსი შეგირდი მყვანდა, ზაფხულში - თორმეტი. რო დავათხოვებდი, 15 მანეთი უნდა მიეცა ნეფესა. მერე მე მივცემდი ნეფესა ბაღდადსა, მწვანე ბაღდადსა. მანამ საოსტატოს არ გადამიხდიდნენ, მანამ წინ ვედექი. არშიებს ვაქსოვინებდი, ჩიქილებს ვაბასმინებდი ბასმით. ჭრელ წინდესაც ვაქსოვინებდი, რაც ქვეყანაზე ძაფებია ყველანაირი ძაფებით და ყვაოდა ათასნაირადა.

> ძველ დროში ასე საგანგებოდ ყაჭს არ ვუვლიდით და არ ვასუფთავებდით, მარა ჩინებულად კი მოდიოდაო. ეს ნამდვილი შენიშვნაა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მაშინდელი ყაჭი ჩვენი ქვეყნის ჯიშისა იყო და ჩინებულად იტანდა აქაურ ჰაერს, აქაურ გარემოებას.“

სახელმძღვანელოში აბრეშუმის ჭიის დაავადებების განხილვისას (რომელმაც ევროპაში, საფრანგეთის რევოლუციასთან ერთად, აბრეშუმის წარმოების დაცემა გამოიწვია) ნინო შარაშიძე 1850-1890 წლების მდგომარეობას მიმოიხილავს, საიდანაც ჩანს ადგილობრივი წარმოების ზრდა (ამ პროცესის შესახებ იმ პერიოდის თბილისის გაზეთებიც მოწმობენ[20]):

> „უფრო სანაქებო აბრეშუმი, მოჰყავდათ იმ განათლებულ ქვეყნებში, რომელსაც საზოგადოთ ევროპას ეძახიან. მაგრამ ამ ორმოცის წლის წინად გაჩნდა ევროპაში საშინელი ჭირი ყაჭისა, მოედო მთელი ევროპის სააბრეშუმეო ადგილებს და ბოლოს ჩვენამდინაც მოაღწია, მაშინ დაიწყო ჩვენში ნელნელა ფუჭება ყაჭმა და ბოლოს და ბოლოს აქაც ასე გაძლიერდა სენი, რომ თითქმის მთლად მოსპო ეს სასარგებლო წარმოება. ევროპა, როგორც ზემოდ ვთქვით, დიდად განათლებული, მცოდნე ქვეყანაა. რაც კი რამ სწავლა და მეცნიერებაა ჩვენს დროში ქვეყანაზე, ყველაფერი ევროპელების მიგნებული და მოსაზრებულია და ვინცკი ჩვენი დროის დიდი სწავლული და მეცნიერი კაცებია, ყველა ევროპიელთაგანია. ასე რომ, რაც რამ

[20]1869 წელს გამოსული „Кавказский календарь на 1870 год“-იდან ირკვევა, რომ კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისთვის საზოგადოების მდივან ნიკოლოზ პროკოფის ძე სიტოვსკის წარუდგენია გეგმა, რომელიც ეხებოდა ამიერკავკასიაში აბრეშუმის ჭიის გამოზრდას პასტერის მიერ შემუშავებული მიკროსკოპული მეთოდის საშუალებით. ცდების წარმოებისათვის საზოგადოებას შეურჩევია ტერიტორია თბილისის აკლიმატიზაციის სადგურის ბაღში.

1869 წელს გამოსული „Кавказский календарь на 1870 год“-იდან ირკვევა, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა 1200 მანეთი გამოყო ცდებისათვის, რომელიც აბრეშუმის ჭიის ახალი სახეობების გამოზრდას ისახავდა მიზნად.

1896 წელს კუხის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის მეთაური ნესტორ წერეთელი იოსებ კაკაბაძის დახმარებით თავიანთი წარმოებული აბრეშუმის ექსპორტირებას ცდილობდა.

1897 წლის 17 იანვარს „ცნობის ფურცელში” გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც წერია, რომ მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ პასტერის სისტემით დამზადებული აბრეშუმის ჭიის თესლი სარდიონ ლუკას ძე ლომიძესთან, ისვე ჰყიდდა ოსმალეთიდან შემოტანილ ჭიის თესლს.

1897 წლის 22 მარტის „ცნობის ფურცლის“ მიხედვით, ქალაქ სიღნაღის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელს, ყაზახოვისას სიღნაღში დიდი რაოდენობით აბრეშუმის ჭიის მოყვანა ჰქონდა განზრახული.

1898 წლის 30 ივლისის „ცნობის ფურცლის“ ცნობით, ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს უნდოდა, რომ გურიისა და სამეგრელოს ყველა მონასტერში მეფუტკრეობა და აბრეშუმის წარმოება დაეწყოთ.

1901 წელს კავკასიის სააბრეშუმო სადგურში შესამოწმებლად წარდგენილი იყო 8 000-ზე მეტი ყუთი აბრეშუმის გრენა (ჭიის თესლი) არასხანიანცის, ს. ტადევოსიანცის, შ. პაშაიანცის, ტერ-ზახარიანცის, გალუსტიანცის და ედუარდ ბლოკისა.

> საქვეყნო ჭირი და უბედურება გაჩნდება ქვეყნად ევროპის მეცნიერები უკვირდებიან და იკვლევენ ამათს მიზეზს და წამალსა, ასე იყო ყაჭის შემთხვევაშიც“.

ტექსტი საინტერესოა კიდევ ერთი ასპექტით, ნინო შარაშიძე ხაზს უსვამს, რომ მეაბრეშუმეობას უხსოვარი დროიდან მისდევდნენ საქართველოს ქალები. უსიტყვო შეთანხმების თანახმად, როცა კი საქართველოში ისტორიის შესახებ საუბრობენ ან წერენ, იწყებენ შორიდან – ანტიკურობიდან, ანტიკური წერილობითი წყაროებიდან[21]. ასეა მეაბრეშუმეობის შემთხვევაშიც და ასეა დღემდე. საბედნიეროდ, აბრეშუმის შესახებ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები, რომელზეც ნინო შარაშიძე საუბრობს, მოგვიანებით მდიდარი არქეოლოგიური მასალითაც დადასტურდა. თითქმის 2000 წლისაა აბრეშუმნარევი ბამბის ქსოვილის ნაშთი, რომელიც დედოფლის გორაზე, უძველეს საფეიქრო სახელოსნოში ანტიკური ხანის ქართველ მეფეთა სასახლის ნანგრევების გათხრისას აღმოაჩინეს[22].

საქართველოს ტერიტორიაზე რომ დართვას, ქსოვასა და საფეიქრო საქმეს მართლაც უძველესი დროიდან მისდევდნენ, ადასტურებს ენეოლითური და ნეოლითური პერიოდის ძეგლებზე სამუშაო იარაღების – თითისტარების, კვირისტავების, საწაფების[23] ნემსების, მახათებისა და ქინძისთავების, ასევე გვიანდელი პერიოდის საქსოვი დაზგების ნაშთების აღმოჩენის ფაქტები.[24]

აბრეშუმის მუზეუმის მდიდარ ფოტოკოლექციაში დაცულია როგორც ადგილობრივი, ისე ევროპიდან მეაბრეშუმეობის სადგურისათვის შემოტანილი დაზგა-დანადგარების ფოტოდოკუმენტაცია.

---

[21]ძველი ქართული ნაქარგობა წერილობით წყაროებში არქეოლოგიურ მასალებსა და ხელოვნების ძეგლებში, ქუთაისი, 2017

[22]გაგოშიძე ი., უძველესი აბრეშუმი საქართველოში ელჟურნალი Online არქეოლოგია 2012, N2,

[23]ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ძაფების დასაჭიმავი სიმძიმე – შვეულები საქსოვი დაზგისათვის

[24]ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ძვ. წ. III ათასწლეულით დათარიღებული ილტოს ნამოსახლარზე არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ვერტიკალური საქსოვი დაზგისა და საბეჭურის ფრაგმენტები. პრეისტორიული ქსოვილები საქართველოდან, 2022, გვ.49

ბაღდადური თეთრი ჯიშის პარკიდან ძაფის ამოხვევა ადგილობრივ დაზგაზე/
Reeling a thread from the cocoons of Bagdad White species on a local loom
წყარო: აბრეშუმის მუზეუმის ფოტოკოლექცია, IIIF მანიფესტი



ხარშვის შემდეგ აბრეშუმის გასარეცხი დანადგარი

დიმიტრი ერმაკოვის ფოტო.
წყარო: პრეისტორიული ქსოვილი საქართველოდან, 2022

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩართულობა მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოების შექმნასა და თარგმნაში მეტყველებს რამდენად აქტუალური იყო საქმიანობის ეს სფერო მეცხრამეტე საუკუნის დამლევს საქართველოში. აბრეშუმის ეკონომიკურ სარგებლიანობაზე მეტყველებს ისიც, რომ პირველი რესპუბლიკის პერიოდში სახელმწიფომ სცადა მეაბრეშუმეობის მონოპოლიზება[25].

[25]1919 წლის 4 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, მიწათმოქმედების მინისტრ ნოე გიორგის ძე ხომერიკის განკარგულებით თბილისის საბაღოსნო სკოლების შენობა და მიწა თბილისის კულტურულ-ტექნოლოგიური სასწავლებლის გამგებლობაში გადავიდა#.
1920 წლის 21 იანვრის გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა კონსტანტინე მარტვილელის წერილი „აბრეშუმის მოსალოდნელი მონოპოლიის შემოღების გამო“#.
1920 წლის 25 იანვრის გაზეთ „საქართველოს“ ცნობით, მთავრობის რწმუნებულმა იასონ ლორთქიფანიძემ საზღვარგარეთ შეიძინა 10 მილიონამდე ფუთი აბრეშუმის თესლი და ფქვილი.
1920 წლის 6 ივლისის „ერთობა“ იუწყება, რომ აბრეშუმის პარკის სეზონი დაიწყო. საქმის მოწესრიგება იკისრა მომარაგების სამინისტრომ. პრაქტიკული ხელმძღ. დაავალეს მეაბრეშუმეობის უფრ. სპეციალისტს იოსებ ქუთათელაძეს. მან ქუთაისში დაიქირავა ძვ. მსხვილი ვაჭრების პ და მ. გოკიელოვების ფარდული ხონის გზაზე, სადაც ინახავს შეზიდულ პარკს. მას ერობა ყიდულობს.
1920 წლის 7 აგვისტოს „ერთობა“ იუწყება, რომ რამდენიმე წლის წინ ი. სულუხიას მიერ ოზურგეთში დაარსებული პირველი ძაფის სახვევი ფაბრიკა გურიაში ორი წელი გაჩერებული იყო. ერთი თვეა იქ სამაზრო ერობას ადგილობრივი აბრეშუმის პარკის ამოხვევა დაუწყვია და 80-მდე კაცი დასაქმებულა.
1920 წლის 10 აგვისტოს „ერთობა“ იუწყება, რომ მომარაგების სამინისტროს მთ. რწმუნებულმა ქუთათელაძემ სამინისტროს შეატყობინა, რომ შემსყიდველებს დამზადებული აბრეშუმი

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მეაბრეშუმეობა საქართველოში მოსახლეობის მასობრივი დასაქმების საშუალებად და შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროდ იქცა[26]. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში გავრცელებულმა თუთის დაავადებამ 15 მილიონამდე მცენარე გაანადგურა, შედეგად, აბრეშუმის პარკის დამზადება კატასტროფულად დაეცა.

მეაბრეშუმეობა, როგორც შინამრეწველობის დარგი, რეგიონისათვის ისტორიულად მნიშვნელოვან კულტურის პროცესს წარმოადგენდა. შემდგომში, კოლონიურ ეპოქაში, მოხდა ამ გამოცდილების ფორმალიზება, ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში მეაბრეშუმეობა იქცა დასაქმების მასობრივ სფეროდ. 2002 წელს საქართველოში აბრეშუმის ჭიის წარმოება წყდება. დღეისათვის, შინამრეწველობის ეს დარგი ფაქტობრივად სამუზეუმო ექსპონატს წარმოადგენს. ზემოთ მოთხრობილი ამბებიდან გამომდინარე კი აბრეშუმის მუზეუმს შეუძლია იქცეს კოლონიურ მემკვიდრეობაზე, ინდუსტრიალიზაციის შედეგებზე რეფლექსიის სივრცედ.

დანართი



დანართი 1

სოხუმიდან, ოჩამჩირიდან, ფოთიდან და ბათუმიდან კონსტანტინეპოლით გააქვთ და ითხოვს, სათანადო ნებართვის გარეშე აბრეშუმის რკინიგზით გადატანა აიკრძალოს.

[26]მეოცე საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში იწარმოებოდა 4,0-4,4 ათასი ტონა პარკი და ფულადი შემოსავალი 15,5-16,5 მლნ მანეთს შეადგენდა. აბრეშუმის პარკის წარმოებაში დასაქმებული იყო 100-120 ათასი ოჯახი, ხოლო აბრეშუმის მრეწველობაში - 5-6 ათასი კაცი.



დანართი 2



დანართი 3

ტექსტი შეიქმნა მუზეოგრაფიის პროექტის კვლევითი ნაწილის ფარგლებში და განხორციელდა „მთლიანად ან ნაწილობრივ ფრანკოფონი დედაქალაქებისა და მეტროპოლიების მერებისა და ხელმძღვანელთა საერთაშორისო ასოციაცია“ (“AIMF”)-ის დაფინანსებით.